პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

15 აგვისტო სამშაბათი 1972 წელი 2 ქაჯ.

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 190 (15403)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1972 წლის 19 სექტემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1972 წლის 14 აგვისტო.

მოვაკვალ მოსავალზე

დღეს ვიზრუნოთ!

დიდხანს ჯეჯილი რომ ამბობდეს, სპეციალისტის ყურადღებაა ნათქვამი: შეუცდომლად განსაზღვრავს ამა თუ იმ მოესვლის ოსტატობის დონეს.

ზოგ ყანაში მწკრივები ლარივით სწორია, ზოგან უსწორმასწოროა, ზოგან კი აღმონაცენი საერთოდ უწესრიგოა: ახლად ამობინებულ ჯეჯილში მკაფიოდ გამოირჩევა შავი ბარეზები. რა თქმა უნდა, შემდეგში დრო თავისას იზამს, ჯეჯილი წამოიზრდება და ხარვეზებიც თვალს მიეფარება, მაგრამ მიწას ვერ მოატყუებ — იგი კარგ მთესველს უხვი მოსავლით დაასაჩუქრებს, უდარდელს კი დაბსახურებისამებრ მცირეს მიუზღავს.

ადგილობრივი პარტიული თუ სამეურნეო ხელმძღვანელების ვალია სწორედ ჯეჯილის აღმოცენების დროს მოაწყონ ნათესების დათვალიერება იმათი თანადასწრებით, ვინც თესავდა, ადგილზე უჩვენონ ის ხარვეზები, რაც მხვნელ-მთესველმა დაუშვა მუშაობის დროს. მიწა გარშემო ერთნაირია, მანქანებიც ერთნაირია, თესლიც ჯიშიანია. მაგრამ რატომ არის, რომ ზოგან ნათესები თვალს ახარებს, ზოგან კი აშკარა წუნია. რამ გამოიწვია ეს, ვინ მიზეზით გაჩნდა ნათესებში ხარვეზები? სად იყო აგრონომი? ამ კონკრეტულ კითხვებზე ადგილზე, მინდვრად, თვალსაჩინოების გამოყენებით უნდა გასცენ პასუხი ხელმძღვანელებმა. მათ თვალსაჩინო უნდა გახადონ ხვნა-თესვის ნამდვილ ოსტატთა და იმათი ნამუშევრები, ვინც ჯერ კიდევ არ უფრთხილდება მხვნელ-მთესველის ღირსებას, გულისხმიერად არ ეკიდება მინდობილ საქმეს.

წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონებში მხვნელ-მთესველ-ჯეროვანთა წარმატებას სწორედ იმით აღწევენ, რომ თავიდანვე ხვნა-თესვის ბერიოდშივე დიდ ყურადღებას აქცევენ მიწის აგროწესების მიხედვით დამუშავებას, თესვის ნორმების დაცვას, თესლის ხარისხსა და მანქანის მაღალნაყოფიერად გამოყენებას. იქ, სადაც ამ განაწესს იცავენ, სწორედ მათზე ამბობენ ხოლმე — მიწათმოქმედების მაღალი კულტურის ოსტატები არიანო. ეს რომ ასე, ვრწმუნდებით წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის, ქვემო ქედის და სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობათა მაგალითზე.

ამ დღეებში საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, მცხეთის რაიონის სოფელ წეროწყაროში მოეწყო პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების მდივნების, მარცვლეულის მწარმოებელი ძირითადი რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსების, მთავარი აგრონომებისა და ინჟინერ-მექანიზატორების, მეცნიერების, სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამეხანძრო ტრანსპორტის, „სჭ-სოფლტექნიკის“ ხელმძღვანელთა, პრესის მუშაკთა თათბირ-სემინარი. ამ განხილვის საშემოდგომო თესვისათვის მზადების და ნიადაგის დამუშავების პროგრესული მეთოდების წარმოებაში დანერგვის საკითხი.

თათბირ-სემინარზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მარცვლეულის უხვი მოსავლის მისაღებად, მაგრამ წარმოების მთელ რეზერვებს როდი იყენებენ. წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნიადაგის კარგი ძირითადი დამუშავება. ეს შეიძლება მოხდეს კორდამღები წინმხვნელიანი გუთნით ხვნის გზით. ამასთან ერთდროულად სრულდება ორი პროცესი — ნიადაგის ზედა და ღრმა ფენების გადაბრუნება, მიმდინარეობს ნიადაგის ნაწილობრივი განახლება, მაღლდება მისი ნაყოფიერება, იქმნება თესლის საუკეთესო პირობები, ღილუპებიან მცენარეთა მავნებლები, ხარეველების თესლი და სხვ. მაგრამ სამწუხაროდ ზოგან წინმხვნელიანი გუთნით მიწას რატომღაც არ ხნავენ. რაიონების ხელმძღვანელებმა პირადი ზედამხედველობა უნდა დააწესონ ამ საკითხის. რომ ნიადაგი მხოლოდ წინმხვნელი გუთნით იხვნებოდეს.

ნათქვამია, რასაც დათესავ, იმას მოიმკი. ეს დღეს ახე შეგვიძლია შევასწოროთ — რასაც და, როგორც დათესავ, იხეთ მოსავალს მოიმკი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსავლიანობას გავადიდებთ მხოლოდ მაშინ, როცა ნიადაგს კარგად დავამუშავებთ, მაღალკონდიციური თესლით დროზე და მაღალხარისხოვნად დავთესავთ და უდანაკარგოდ ავიღებთ მოსავალს.

ქახეთის რაიონებში პურეულის აღება დამთავრდა, ქორწილისა და სხვა მთიან რაიონებში მკა ისევ გრძელდება. მაგრამ თადარიგგანმა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა კარგადაც უკვე დაიწყეს მომავალი წლის მოსავალზე ზრუნვა. ისევ წითელწყაროს რაიონის მხვნელ-მთესველთა მისაბაძი მაგალითი უნდა მოვიშველიოთ. წითელწყაროელებმა ოცდაათი ათას ტონაზე მეტი მარცვლეულის დამზადებისათვის ბრძოლას წარმატებით ამთავრებენ. მათმა მემანდრეებმა, მიწათმოქმედების მაღალი კულტურის ოსტატებმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს და არნახული მოსავალი მიიღეს. მკის ცხარე დღეებში ისინი მომავალ წლის მოსავალზეც ზრუნავდნენ — ამარაგებდნენ ჯეშიან თესლს, სასუქებს, წესრიგში მოჰყავდათ სათესები და სხვა მანქანები. წითელწყაროელებმა 10.000 ცენტნერზე მეტი ჯეშიანი, მაღალხარისხოვანი ხორბლის თესლი მოიმარაგეს, ლაგოდეხის რაიონმა — 22.000 ცენტნერი, მარნეულის რაიონმა — 11.750 ცენტნერი. მემინდვრეობის რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოების, მხვნელ-მთესველების ამოცანა ის არის, რომ სანაჭეზოდ მოემზადონ საშემოდგომო თესვისათვის, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ფოლადსადნობი გოლიათები

ᲓᲚᲔᲜᲘᲫᲘ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში დაიწყო ჭედყალაში პირველი 300 ტონიანი კონვერტორების დამზადება. ეს კონვერტორები გათვალისწინებულია დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნისათვის. ვანგბადკონვერტორული საამქროს სიმძლავრე ნაბატონთურო, რომელთაგან ორი მუშაობს, ერთი რეზერვშია, შეადგენს წელიწადში რვა მილიონ ტონა ფოლადს.

მაღალმწარმოებლობას აღწევენ ლითონის ჟანგბადური გაქრვის ინტენსიფიკაციის, პროცესების ავტომატიზაციის, ყველა ოპერაციის ხანგრძლივობის შემცირების შედეგად.

ახლა ქარხანაში ემზადებიან კიდევ უფრო მძლავრი აგრეგატების შესაქმნელად. (საკ.ინ. კორ.).

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჰაღთა მეორე კონფერენციის მონაწილეებს

ქარხანა მოსავლის!
ქარხანა მოსავლის!
ქარხანა მოსავლის!

გულთბილად მივესალმებთ მონაწილეებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ქალთა მეორე კონფერენციას, რომელიც მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ულან-ბატორში იხსნება.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ქალთა პირველი კონფერენციის შემდეგ განვლილია 11 წელი, მანძილზე იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებულია დიდი გამარჯვებანი. იმპერიალიზმი ველარ ბატონობს მსოფლიოს უმეტეს რაიონებს, ასეულ მილიონობით ადამიანს. თქვენი კონფერენცია მიმდინარეობს იმ პერიოდში, როცა იზრდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის როლი მსოფლიო რევოლუციურ პროცესში და მტკიცდება მისი კავშირურთიერთობა სოციალისტურ სამყაროსთან, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობასთან ანტიიმპერიალისტური ძალების ბრძოლის შედეგად ორმა ცვლილებამ ხელი მიჰყო მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის საქმის სასარგებლოდ.

ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და შეიძენ აფრიკისა და აზიის ქვეყნების ქალებს. ყველა ხალხთან ერთად ისინი აქტიურად იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ქვეყნებში, რომლებმაც ბოიშურის კოლონიური უღელი, ქალები ეშმებიან დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაში, სახოგადოების მრავალმხრივ საქმიანობაში, იზრდება მათი პოლიტიკური შეგნება და პასუხისმგებლობა თავიანთი ხალხების ბედისათვის.

ჩვენს დროში აზიისა და აფრიკის ხალხთა ინტერესები მოითხოვენ მტკიცე შეკავშირებასა და ორგანიზებულობას იმპერიალიზმის აგრესიული ბრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. კვლავ გიზგიზებს იმპერიალისტური აგრესიის კერები ინდოჩინეთში, ახლო აღმოსავლეთში, მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა უკანასკნელი კოლონიური და რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი, რომელიც განუხრელად ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მუდამ უშუალო მხარს აჩენის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, თანმიმდევრულად იბრძვის ხალხთა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, მტკიცედ უჭერს მხარს არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, მხარი სოლიდარობით ეკიდება ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლებს.

საბჭოთა კავშირი კვლავაც შეიტანს თავის წვლილს მსოფლიო სოციალიზმის, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირის განმტკიცებაში, ვინაიდან ამ ძალებს ერთიანობა მოიპოვა კოლონიური და სოციალური ჩაგვრისაგან ხალხთა სანიოლო განთავისუფლების გაღაწყვეტ პირობად.

სრულ წარმატებას ვუსურვებ კონფერენციას და მგონი, რომ იგი წინაღადგენილი ნაბიჯი იქნება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, ღემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის სამართლიან ბრძოლაში!

ლ. ბრეჟნევი.

კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს კონგოს სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ქმხკნაკ მარიან ნგუაბის

ბრაზზავილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მხურვალე გილოცავთ, თქვენ კონგოს შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობასა და კონგოელ ხალხს კონგოს სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — რევოლუციის 9 წლისთავს.

საბჭოთა ადამიანები გულწრფელი პატივისცემის გრძნობით აღფრთოვანებულ თვალს მიჰყრობენ კონგოს სახალხო რესპუბლიკის განვითარებას, მის წარმატებებს სოციალისტური ორიენტაციის გზაზე და სოლიდარობას უცხადებენ კონგოელი ხალხის ბრძოლას იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების ხრიკების წინააღმდეგ.

გამოთქვამთ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირ-კონგოს მეგობრული ურთიერთობა და ჩვენი ქვეყნის ერთიანობა თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება საბჭოთა კავშირისა და კონგოს სახალხო რესპუბლიკის ხალხთა საგეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების გაძლიერების ინტერესებისათვის.

გუსურვებთ კონგოს შრომის პარტიას, საბჭოთა საბჭოს, მთელ კონგოელ ხალხსა და პირადად თქვენ ახალ წარმატებებს ქვეყნის სოციალური და ეკონომიური განვითარების არჩეულ გზაზე.

ლ. ბრეჟნევი ნ. პოდგორნი ა. კოსიგინი

კორეის განთავისუფლების ღღისთავის აღსანიშნავად

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲔᲑᲐ ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ქმნ. კიმ ირ სენსა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამნ. ცოი ეე ბინს კორეის განთავისუფლების 27 წლისთავთან დაკავშირებით.

ქვეყნის განთავისუფლება იაპონელ ოკუპანტთა უღლისაგან, ნათქვამია დეპეშაში, მოასწავებდა ახალი ეპოქის დაწყებას კორეელი ხალხის ისტორიაში, მან დასახა ჩრდილოეთ კორეის სოციალისტური გზით განვითარების პერსპექტივები. სოციალიზმმა შემოქმედებითი ენერგიის განვითარების ფართო ასპარეზი გადაუშალა შრომისმოყვარე კორეელ ხალხს, ეკონომიკის, კულტურისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება დამკვიდრა მის მიზა-წყალზე.

საბჭოთა ხალხი, აღნიშნულია შემდეგ, მხარს ოკოლიდარობას გრძნობით ეკიდება კორეელ ხალხს, რომელიც აწარმოებს სამართლიან ბრძოლას ამერიკის შეურთებული შტატების ჯარების მიერ სამხრეთ კორეის ოკუპაციის შეწყვეტისათვის, თავისი კანონიერი უფლების მოპოვებისათვის — დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ერის ბედი და შეაღწიოს ქვეყნის მშვიდობიან, დემოკრატიულ გაერთიანებას იმპერიალისტური ძალების ჩაურევლად.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-კორეის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპები, კიდევ უფრო ყოველმხრივ განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების საქმის ინტერესებისათვის.

(საკ.ინ.).

ხუთწლედი—ვადაძე!

270.000 ტონა ჩაისათვის

სოფელ რიონის კოლმეურნეობამ (წყალტუბოს რაიონი) ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა ჩაის პრეშის ღილიური გეგმა. ახლა მეჩაიეები ახალი ვალდებულების ანგარიშში კრემენ ჩაის ფოთოლს. ამ სურათზე ვადგილია მოწინავე მეჩაიე, კომკავშირული ციალაგოლიძე. რომელსაც მოკრეშილი აქვს 4 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ბ. გერასიმას ფოტო. (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

ნყალტუბოელ მეჩაიეთა ნობათი

ღღიური გეგმის გაღამეტებით მოიკრიფეს

1.050 ტონა ჩაის ფოთოლი

წყალტუბოს რაიონის მეჩაიეებმა, რომლებიც ჩაბანეი არიან სსრ კავშირის შექნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი წარმატება მოიპოვეს. მათ ვადამდე, შარმანდელთან შედარებით 12 დღით ადრე, 14 ბათუმისტანთან მოსარიხეს და მრეწველობას ჩააბარეს 5.756 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად ღღიური გეგმით გათვალისწინებული 5.750 ტონისა. ეს 290 ტონით მეტია, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის იყო მოკრეფილი.

ჩაის ფოთლის კრეფაში გამოკაუტრებით ისახელეს თავი ცხუნვარელებმა (თავმჯდომარეები ი. ჯიმშელაშვილი და თ. ჯაფეიძე) მათ ჯერ კიდევ ივლისის პირველ ნახევარში შეასრულეს ღღიური გეგმები. ცხუნვარელებმა მოკრიფეს 450-ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, რაც ღღიური გეგმის 130,2 პროცენტს შეადგენს, ქვილაშორელებმა მოკრიფეს 425 ტონა — ღღიურ გეგმაზე 80 ტონით მეტი.

ჩაის ფოთლის კრეფის ღღიური გეგმები ვადამდე შეასრულეს ჭრნების, სჩრენისა, ოფურჩხეთის, ზარათის, გვეშტბების კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები მ. ჯაბელაძე, დ. გაბუნია, გ. ავალიანი, ვ. მაღლაფერიძე და მ. ჩაგანიძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი). ამ კოლმეურნეობათა მეჩაიეები ახლა ჩაის ფოთლის ახალი ვალდებულებების ანგარიშში კრეფენ.

ჩაისათვის ღამჭრობაში თავი გამოიჩინა მრავალმა მეჩაიემ. მაგალითად, ქვილაშორელმა მეჩაიემ, პარტიის რაიკომის წევრმა ჭუნია გუსალაშვილმა მოკრიფა 8,2 ტონა ჩაის ფოთოლი. წლიური გეგმები ორმაგად შესრულეს რიონელმა მეჩაიემ ლეილა ტუტაბერიძემ, ოფურჩხეთელმა ნათელა ჭორიძემ, ნათელა აბაშიძემ და სხვებმა. აღსანიშნავია სოციალისტური შრომის გმირის, პარტკომის რაიონის ბიუროს წევრის ანუკა ხურციძის მუშაობა. მან მოკრიფა 5 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“ და ამით შეასრულა წლიური გეგმაც. წინაა ნაკისრი ვალდებულება. ასევე წარმატებით შრომობს წყალტუბოს კიკეთის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სპარტაკიადის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნორა ქუთათელაძე.

ასობით კომუნისტი, კომკავშირელი კომუნისტურად შრომის ავანგარდში დგას. ისინი იმისათვის იბრძვიან, რომ საქართველოს მეჩაიეთა მიერ ნაკისრი ახალ ვალდებულებათა შესრულებაში ღირსეული წვლილი შეიტანონ.

მეჩაიეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს უდანაკარგოდ მოკრიფონ ჩაის ფოთოლი და ღღიური გეგმის გადამეტებით სამშაბათს მისცენ წინაპირი 750 ტონის ნაცვლად 1.050 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

შ. კაკაურიძე, პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი.

ჯილდო გვაკვალებს

თბილისი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაებეთ, ვალდებულება ვიკისრეთ საკავშირო წელს გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 10 ათასი ტონა ფქვილი და 7 ათასი ტონა კომბინირებული საკვები, მოვახდინოთ 4 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. ვალდებულებები წარმატებით სრულდება.

პრდუქციის რეალიზაციის შვიდი თვის დავალება 117,2 პროცენტით შეასრულეთ, ფქვილის გამოშვებისა — 112 პროცენტით. კომბინირებული საკვებისა — 111,4 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 8.921 ტონა ფქვილი და 5783 ტონა კომბინირებული საკვები, რეალიზებულია 3,6 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 11,6 პროცენტით, მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, მიღებულია 152 ათასი მანეთით მეტი მოგება. აღსანიშნავია ისიც, რომ ნორმასთან შედარებით პროდუქციის გამოსაღიანობა გაიზარდა.

კომბინატის კოლექტივმა მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მაიმპარჭვა სპარტაკიადის სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გადმოსვალი დროშა და პირველი ფრენა. ადგილი.

საწარმოს კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ კვლავ გაიუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, ვადამდე შეასრულოს წლიური გეგმა და შეინარჩუნოს მაღალნაყოფიერი შრომით მოპოვებული მაღალი ჯილდო.

ყოველივე ეს რედაქციას აცნობა თბილისის № 1 წესქვალკომბინატის დირექტორმა შ. ბებიაშვილმა.

გეგმა—ყველა მაჩვენებლით

თბილისი. („კომუნისტის“ კორ. ზ. ჯამასპიშვილი). ხარისხის ხუთწლედი! ასე უწოდებენ თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის (მთავარი ინჟინერი გ. ლებანიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ყიფიანი) მკერავები მიმდინარე ხუთწლედს. განვლილ პერიოდში საწარმოში ბევრი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება განხორციელდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. გასული წლის ბოლოს ბავშვის კაბების ქსელი მოღელს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა. ახლა ამ პროდუქციას მასობრივად უშვებენ და რეკლამაცია არ მიუღიათ. ამის შედეგია ის, რომ შვიდი თვის რეალიზაციის გეგმა 106,4 პროცენტით შესრულეს და დაგეგმილებას 822 ათასი მანეთით გადააჭარბეს. ღიდი გადამეტებით არის შესრულებული ბატკნისრაოდენა პროდუქციის გამოშვების გეგმაც. ექვს თვეში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 134 ათასი მანეთით შეამცირეს, ხოლო შრომის ნაყოფიერება 3,6 პროცენტით ამაღლეს.

მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ და ურეკლამაციო მუშაობა მკერავთა ბრიგადებში, რომელსაც რ. ტარიელაშვილი, ვ. ღეგაშვილი, და ლ. გოზალიშვილი ხელმძღვანელობენ. მკერავებს მორის დაწინაურდნენ და მაღალ ოსტატობას უჩვენებენ მ. ყოჩიაშვილი, რ. მარგარიანი, ლ. ბლიაძე, ვ. მიროტაძე და რ. სულხანიშვილი.

ღირსშესანიშნავი თარიღის გამო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვ. ვ. გირის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცა და ყოველივე საუკეთესო უსურვა ღირსშესანიშნავი თარიღის — ინდოეთის დამოუკიდებლობის 25 წლისთავის გამო.

დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ადამიანები, როგორც ინდოელი ხალხის კეთილი მეზობლები, მიესალმებიან ინდოეთის შესანიშნავ მიღწევებს ეკონომიკის, ეროვნული და სოციალური განვითარების გზაზე.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ ორი ქვეყნის მეგობრობა და ურთიერთგაგება მხოლოდ გაღრმავდება და გაფართოვდება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა საკეთილდღეოდ, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

გულითადად უღოცავენ

ინდოეთის დამოუკიდებლობის 25 წლისთავის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად უღოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ განვლილი 25 წელი აღინიშნა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის გაფართოებითა და განმტკიცებით, რასაც მკაფიო გამოხატულება პოვა სსრ კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებაში.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ ორი ქვეყნის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა კვლავაც განუხრელად განმტკიცდება და განვითარდება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა ინტერესებისათვის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიები —ქართველ დამპროექტებლებსა და მშენებლებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტების ყველაზე თვალსაჩინო პროექტებისა და ამ პროექტების მიხედვით მშენებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის პრემიები მიენიჭეს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშათა დიდ ჯგუფს.

მათ შორის — სამოქალაქო მშენებლობისა და ნაგებობათა მშენებლობისათვის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანებისათვის 5 ათასი მანეთის ოდენობის პრემიები მიენიჭათ ვ. შ. ალექსი-მესხიშვილს, გ. რ. გაბაშვილს — პროექტის მთავარ არქიტექტორებს, ი. ლ. გრიგოლიას, არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელს; ე. ზ. ჩხეიძეს, დირექტორს, გ. გ. ცინავას, პროექტის მთავარ კონსტრუქტორს, ა. ა. მარგველაშვილს, ჯგუფის ხელმძღვანელს, ა. ო. სარქისიანს, განყოფილების უფროსს — საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მუშაკებს; ზ. ს. ჯაფარიძეს, ყოფილ მმართველს, გ. ი. კუპრაშვილს, სამშენებლო სამმართველოს უფროსს — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის მუშაკებს; თ. ბ. ბერძენიშვილს, უფროს სამუშაოთა მწარმოებელს, ტ. ტ. ალაშოვს, მებეტონეთა ბრიგადირს — № 13 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს მუშაკებს. გ. ვ. მორგოს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ინჟინერს, ვ. ვ. ბოჭორაძეს, „საქმელექტრომონტაჟის“ ტრესტის თბილისის სამმართველოს მთავარ ინჟინერს, გ. ი. ჩიჩუას, „საქმონტაჟსპეცმშენის“ ტრესტის სამმართველოს უფროსს; მ. ა. ტრაინინს, „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის მემონტაჟეთა ბრიგადირს — ქალაქ თბილისში საქართველოს სახ. სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროექტის შემუშავებისა და მშენებლობისათვის.

ო. დ. კალანდარიშვილს, სახელოსნოს ხელმძღვანელს, ი. ს. ცხომელიძეს, პროექტის მთავარ არქიტექტორს, თ. ს. ჭანტურიშვილს, პროექტის მთავარ ინჟინერს, მ. ვ. იზაშვილს (სიკვდილის შემდეგ), ყოფილ მთავარ სპეციალისტს ა. ზ. ლომინაძეს, დირექტორს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ მუშაკებს; დ. ი. ქობაიას, პროექტის მთავარ კონსტრუქტორს, საქართველოს სსრ სამხატვრო აკადემიის დოცენტს, გ. ს. შენგელაიას, „მთავარ თბილმშენის“ ყოფილ უფროსს, თ. შ. ებრალიძეს, უბნის უფროსს, მ. გ. რაშეიშვილს, საშენებლო სამმართველოს საშუალოთა მწარმოებელს, შ. ა. ჯანელიძეს, სამშენებლო სამმართველოს უფროსს, ბ. ხ. დაშვილს, მონტაჟეთა ბრიგადირს — „მთავარ თბილმშენის“ მუშაკებს; გ. ი. ისპილიძეს, მეარმატურეთა ბრიგადირს, შ. ვ. ჭედიას, მმართველს — „აველექტრომონტაჟის“ ტრესტის მუშაკებს; გ. ს. ჯაშაიძეს, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს, — ქალაქ თბილისში სასტუმრო „ივერიის“ პროექტის შემუშავებისა და მშენებლობისათვის.

(საქინფორმი).

ჩვენს დიად საჭოჭლოში

მთელი იდეოლოგიური მუშაობა — სკკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებას!

იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ხალქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, რომლებიც განაგებენ იდეოლოგიურ საკითხებს, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, პოლიტიკური განათლების სახლების მუშაკები, იდეოლოგიურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, მეცნიერები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. გოგიჩაიშვილმა.

დღის წესრიგში იყო ორი საკითხი:

1972 წლის 26-28 ივნისს მოსკოვში გამართულ იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის შედეგები და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით;

პოლიტიკური განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლის ძირითადი ამოცანები.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა ამხ. მ. ა. გოგიჩაიშვილმა.

— იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა, — თქვა მომხსენებელმა, — ჩაიარა მთელი იდეოლოგიური მუშაობის თვისებრივი დონის ამაღლების, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პარტიისა და ხალხის სამეურნეო, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობასთან მისი კავშირურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობის ნიშნით. ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა უნდა წარვმართოთ მთავარი პოლიტიკური ამოცანის — სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების — შესასრულებლად. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადება უნდა იყოს სტიმული, რათა გავაღრმიეროთ მუშაობა სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ჩანერგვისათვის. საჭიროა უფრო ბეჯითად და მიზანდასახულად ვიბრძოდეთ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, სრულყოფილად შორსმჭვრეტელობით ვიხელმძღვანელოთ, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, მეცნიერები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. გოგიჩაიშვილმა.

დღის წესრიგში იყო ორი საკითხი:

1972 წლის 26-28 ივნისს მოსკოვში გამართულ იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის შედეგები და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით;

პოლიტიკური განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლის ძირითადი ამოცანები.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა ამხ. მ. ა. გოგიჩაიშვილმა.

— იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა, — თქვა მომხსენებელმა, — ჩაიარა მთელი იდეოლოგიური მუშაობის თვისებრივი დონის ამაღლების, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პარტიისა და ხალხის სამეურნეო, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობასთან მისი კავშირ-

14 აგვისტო, ორშაბათი

ამერიკის ხმა

ერთვნული ინფორმაციის

● ვინ უშლის ხელს დაძაბულობის შენელებას ● უდიდესი სამხედრო მანქანა

ამ ერთ კვირაში

საკლესის მიმოხილვა

დასავლეთის პრესა იტყობინება, რომ ნატომ გადაწყვიტა წელს სექტემბერში ატლანტიკის ჩრდილოეთ ნაწილში მოაწყოს მანევრები საჯარო სახელოვნებით „სტრონგ ექსპრესი“.

ეს იქნება უდიდესი სამხედრო მანევრები ატლანტიკის ბლოკის არსებობის მთელი 23 წლის ისტორიის მანძილზე. მანევრებში მონაწილეობას მიიღებს ამერიკის, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, კანადის, პორტუგალიისა და ნატოს წევრი სხვა ქვეყნების დაახლოებით 64 ათასი სამხედრო მოსამსახურე და მრავალი სამხედრო გემი. მანევრების დროს ორჯერ გადასხვამენ ჯარებს ჩრდილოეთ ნორვეგიაში.

მილიტარისტული „ძალის დემონსტრაციას“ გეგმავენ იმ პერიოდისათვის, როცა მკაფიოდ დაისახა შეთბრუნება ევროპის პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისაკენ. და თქმა უნდა, ეს შემთხვევითი დამთხვევა როდია. პოლიტიკური რეალიზმისაკენ შემობრუნების, „ძალის პოზიციის“ გაკოტრებულ იმპერიალისტურ პოლიტიკაზე უარის თქმის, მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროების განმტკიცების ტენდენციები, რომლებიც ესოდენ აშკარად იჩრძნობა ევროპაში სოციალისტურ სახელმწიფოთა მშვიდობისმოყვარული და კონსტრუქციული პოლიტიკის შედეგად, მილიონობით ევროპელის დიდ კმაყოფილებას იწვევს. ბაგრამ ეს რეალისტური ტენდენციები აშფოთებენ გარკვეულ იმპერიალისტურ წრეებს, რომლებსაც სფეთქვლიანად მიაჩნიათ, რომ დაძაბულობის შემდგომ შენელებას შეიძლება მოჰყვეს ატლანტიკური ბლოკის დაშლა, რომელიც ავრესიული მიზნებისათვის არის შექმნილი. სწორედ ეს წრეები ახორციელებენ ახლა გაფიცებულ ღონისძიებებს, რათა „განმტკიცონ“ ნატო, გააძლიერონ გამალებული შეიარაღება.

ამის ერთ-ერთი უკანასკნელი დადასტურებაა პენტაგონის პრეტენზიები, რომელთა დასაკმაყოფილებლად ამერიკის სენატი ამას წინათ დათანხმდა უზარმაზარი თანხის — 20 მილიარდზე ბეტი დოლარის გამოყოფას შეიარაღების, მათ შორის მისი ახალი სახეობების შესყიდვისა და შემუშავებისათვის. ამერიკელ სახედრო სტრატეგთა ნამდვილ ზრახვებს მოწმობს ის ფაქტიც, რომ სწორედ პენტაგონელ გენერლები, რომლებსაც მაღალი თანამდებობანი უჭირავთ ნატოს შტაბებში, განსაკუთრებით აქტიურად მოითხოვენ ნატოს დასავლეთევროპელი წევრების „წვლილის“ შემდგომ გადიდებას ამ ბლოკში.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, „სტრონგ ექსპრესის“ მანევრების სარდლები იქნებიან ამერიკელი გენერალი გუდპეისტერი — დასავლეთ ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, და ამერიკელი ადმირალი დანკერი, — ატლანტიკაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

ნატოს საბჭოს უკანასკნელმა, მაისის სესიამ, რომელიც ბონში გაიმართა, ცხადყო, რომ ბლოკის წევრი მთელი რიგი ქვეყნები არ აპირებენ კვლავაც უგულებელყონ ამ. მისი მთავარი თემაა დანაშაულობანი კაცობრიობის წინააღმდეგ, რომლებსაც ჩადიან რასისტები და კოლონიზატორები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სამხრეთ როდეზიასა და მოზამბიკში.

ის ფაქტი, რომ ეს ჟომისია პირველად აწყობს სესიას აფრიკის მიწა-წყალზე, შემთხვევითი არ არის. სწორედ აქ, შავი კონტინენტის სამხრეთ ნაწილში, სადაც რასიზმი ჰყვავის, განსაკუთრებით ფარული მასშტაბი და აუტანელი ფორმები მიიღო ადამიანის ეკონომიკურ უფლებათა და ღირსების გათელვამ. მაგრამ იმ ძალების გამშტკიცებასთან ერთად, რომლებიც რეალიზმისაკენ შემობრუნებისათვის ებრძვიან, პენტაგონთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნატოს შტაბ-ბინებში, ჯერ კიდევ მეტად ძლერია წრეები, რომლებსაც სურთ ხელი შეუშალონ დაძაბულობის შენელებას, აღმართონ ხელოვნური ბარიერები ევროპის კოლექტიური უშიშროების შექმნის გზაზე.

ვანკუვერის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის ხუთიმა ამ. მისი მთავარი თემაა დანაშაულობანი კაცობრიობის წინააღმდეგ, რომლებსაც ჩადიან რასისტები და კოლონიზატორები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სამხრეთ როდეზიასა და მოზამბიკში.

ის ფაქტი, რომ ეს ჟომისია პირველად აწყობს სესიას აფრიკის მიწა-წყალზე, შემთხვევითი არ არის. სწორედ აქ, შავი კონტინენტის სამხრეთ ნაწილში, სადაც რასიზმი ჰყვავის, განსაკუთრებით ფარული მასშტაბი და აუტანელი ფორმები მიიღო ადამიანის ეკონომიკურ უფლებათა და ღირსების გათელვამ. მაგრამ იმ ძალების გამშტკიცებასთან ერთად, რომლებიც რეალიზმისაკენ შემობრუნებისათვის ებრძვიან, პენტაგონთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნატოს შტაბ-ბინებში, ჯერ კიდევ მეტად ძლერია წრეები, რომლებსაც სურთ ხელი შეუშალონ დაძაბულობის შენელებას, აღმართონ ხელოვნური ბარიერები ევროპის კოლექტიური უშიშროების შექმნის გზაზე.

ვანკუვერის დედაქალაქში

ჩარგალში, ვაშაღბაგე

— გპპატივ-ბით ჩარგალ-ში, ვაეპოზაზე! ამ სიტყვებით შეხვდა ფშავის ხეობა უამრავ სტუმარს, რომლებიც ჩვენიქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოვიდნენ, რათა ერთხელ კიდევ გულითადი პატივი ეცათ გენიალური მგოსნის — ვაჟას უკვდავი ხსოვნისათვის.

სტუმრებს შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანები, მინისტრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, პოეტები, მწერლები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები. ვაჟას პატივსაცემად ფშავისა და ხევსურეთის მთებიდან მოვიდნენ კოლმეურნეები, სოფლის ინტელიგენტები.

დღის ორ საათზე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გ. ლებანიძემ ვაჟას სხოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნილად გამოაცხადა.

სიტყვას ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ხ. ჭილაია. შემდეგ სახელდახელო ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი. ეურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარი რედაქტორი ს. ბარუზდინი და ბელორუსი პროზაიკოსი ე. კორშუკოვი, ინონელი ქართველი პოეტები და მწერლები ა. გომიაშვილი, ა. შენგელაია, ნ. გურეშიძე, ი. ნონეშვილი. მოსწინააღმდეგ მიძღვნილ საკუთარ ლექსებს კითხულობენ არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის მუშა გ. ბუცურაული, ბაჩანას შვილი — პავლე რაზიკაშვილი, მგოსნის შვილიშვილი ალექსი რაზიკაშვილი, პედაგოგი ი. ქართველიშვილი, კოლმეურნე გ. მარცვალაშვილი, სახალხო მომჩივილი ნიკო ბულალაური, ა. მჭედლური ჭ. რუსთაველიდან.

სახალხო ხუიშე წარმატება ხვდა ქართული ხალხური საკრავების ანსამბლს კირილე ვაშაკიძის ხელმძღვანელობით.

გაიმართა ხელსურული ღიღი.

დიდხანს. გვიან ღამემდე გაგრძელდა ზეიმი ვაჟას მშობლიურ ჩარგალში.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სისუფთავე სპობს მწერებს

უკანასკნელ ხანს სარეცხიცხიო ფოსტაში ხშირად შეხვდებით წერილებს, რომლთა ავტორები შეშფოთებული არიან, რომ ქალაქში დაწნდნენ მავნე მწერები — განსაკუთრებით ბუზები და კოღოები. გაზეთის მკითხველებს ეკითხებიან, ღოლიძეს, თათარაშვილს, ხმალაძეს, ლებანიძეს, ცანავას და სხვებს აინტერესებს, რამ გამოიწვია ეს და როგორ, რით შეიძლება ვებრძოლოთ მათ?

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა მ. მამალაძემ გაიგნო თბილისის მწერომელთა დიპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ჯამის მოადგილეს, ქალაქის მთავარ სანიტარულ ექიმს ამბ. ზ. ციწიშვილს წერილების შინაარსი და სთხოვა პასუხი გაეცა მკითხველებისათვის.

ზუანასანელ ხანს ქალაქის ზოგიერთ ადგილებში ქალზე მომრავლდნენ სხვადასხვა მავნე მწერები, განსაკუთრებით ბუზები და კოღოები, რაც ქალზე აწუხებს მოსახლეობას. ეთსოვთ ბანგვიგარტით რამ გამოიწვია ეს და რა ღონისძიებები ტარდება მათ საწინააღმდეგოდ?

სამწუხაროდ, წელს ძალზე მომრავლდნენ მწერები, რომლებიც ბოლო წლებში თითქმის არა ჩანდა. ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენი ორგანიზაციის მრავალი წევრი შეიკრიბა. ფიგეიწინებათ, წლევანდელი გაზაფხული და ზაფხული განსაკუთრებით თვალისტერნებით — ნალექების უჩვეულოდ დიდი რაოდენობა, ზედმეტი ტენიანობა, მაღალი და ცვალებადი ტემპერატურა. 7 ივნისის სტიქიის შედეგად (კოლექტიური უფიმა) მთელ ქალაქში წარმოიქმნა ღვარცოფები, რომლებიც ვერ ავაკარა ჩრილექტორებმა, დაზიანდა სანაღვრე ნაგებობანი. ავარიების შედეგად ბევრგან მწყობრიდან გამოვიდა მიწის ქვეშ გაყვანილი კომუნიკაციები, ქალაქში ბევრგან შეიქმნა გუბეები. წყალსატევები, ამას ზედ დაერთო კანალიზაციის ქსელის უწესივრობა. ყველაფერმა ამან გამოიწვია ანტისანიტარული მდგომარეობა, რაც თავისთავად ხელსაყრელი გახდა მავნე მწერების გასამრავლებლად. სტიქიის ამ შედეგების აღსაკვეთად ინსპექციამ დაიწყო ინტენსიური მუშაობა, გატარდა მრავალი პიდროტექნიკური ღონისძიება, კანალიზაციისა და კოლექტორების სარეცხში ნაწილი აღდგენილ იქნა, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად ვერ მოხერხდა, ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი.

ჩვენი ინტერვიუ

ლის უწესივრობა. ყველაფერმა ამან გამოიწვია ანტისანიტარული მდგომარეობა, რაც თავისთავად ხელსაყრელი გახდა მავნე მწერების გასამრავლებლად. სტიქიის ამ შედეგების აღმოსაკვეთად ინსპექციამ დაიწყო ინტენსიური მუშაობა, გატარდა მრავალი პიდროტექნიკური ღონისძიება, კანალიზაციისა და კოლექტორების სარეცხში ნაწილი აღდგენილ იქნა, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად ვერ მოხერხდა, ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი.

ჩვენ არ უნდა შევაქოთ ამის მიზეზი აბრეშუმ ნაგვის გატანის მოუწესრიგებლობაში?

დიახ, მწერების გამრავლებას ხელს უწყობს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არასრული ხარვეზები დასუფთავებისა და ნაგვის გატანის საქმეში, ადრითვე ნაგავსაყრელი ადგილების არასწორი ექსპლოატაცია. მრავალი მითითების მიუხედავად, ჯერ კიდევ მკაცრად არ სრულდება ნაგვის გატანის წესი, ირღვევა გრაფიკი, ნაგვიც ცოდნედ გადუსუფთავების საეჭვოლობაც კანტორები. მეუხოვრები სარგებლობენ სახლთმმართველობების სრული უკონტროლობით, არ მუშაობენ სრული დატვირთვით. ზარდა ამისა, ქალაქის საგრენობი ნაწილი, განსაკუთრებით განაპირა ადგილები, საერთოდ არ სუფთავდება. როგორც მოგახსენეთ, ამას ემატება ისიც, რომ ნაგავსაყრელი ადგილები არ არის ზედმიწევნით დაცული. ცხადია ეს ხელს უწყობს მწერების გამოსწორდება. შენდეგ და დასახლების ერთ თვეში ნაკვალევიც გადაეცემა კეთილმოწყობილი ნაგავსაყრელი, ჯერ ძველი კი გაუქმდება.

მოსახლეობა ჩვენგან მოითხოვს, და სამართლიანადაც, სანიტარული ღონისძიებების გატარებას, მაგრამ სანიტარული ღონისძიების გატარებაში მათაც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ბევრმა მობინადრემ ქუჩები და ეზოები სანაგვე ყუთებად გადააქცია, არ იცავენ ნაგვის გაზიდვის წესს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეზარებათ დილით ადგომა, საკუთარი ოჯახის ნაგვი გამოაქვთ და ეზოსა და ქუჩაში ყრიან. ბევრგან შეხვდებით ქალაქში ადგილს, სადაც ამ სიცხეში მთელი დღე ყრია ხილისა და სხვა პროდუქტების ნარჩენები, რაც საუკეთესო ნიადაგია ყველგვარ მწერების „გამოკვებისა“ და გამრავლებისათვის, ეპიდემიის გავრცელებისათვის. ბევრმა მობინადრემ არ გაასუფთავა მათს განკარგულებაში არსებული სარდაფები. ამ მხრივ საოცრად გასაკვირი უკონტროლობა იგრძნობა სახლმმართველობების მხრივ. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სანვებიდასდგურიც ვერ იჩენს სათანადო მოქნილობას.

თბილისის აღსრულო კოღოს გამავრცელებელი მეზობები შესწავლილია. ეგმოკვეულია, რომ კოღოები მალარიის ინფიცირების გადამტანნი არ არიან და მალარიის ინფიცირების თბილისში არ აღინიშნება.

თბილისის საქალაო სანიტარიის აღმასკომის დადგენილების საფუძველზე სავანგებო ჯგუფს წლიწადში ორჯერ ამოწმებენ სანიტარიის მდგომარეობას. ამ ჯგუფის ინსპექტორები ეწვევიან ყველა სახის ფირნელი საერთო ნაოდენობით — არა უმეტეს 10 ცალისა: მუსერი — არა უმეტეს 20 ცალისა, ტყის ქათამი — არა უმეტეს 10 ცალისა. ზოვილო — არა უმეტეს 10 ცალისა და სხვა ნიბიდარათული ფრინველები 5-5 ცალი.

ნადირობა ერთდროული ნებართვებით (ლიცენზიებით) ნებადართულია: ვაცი ჯიხვი — 1 სექტემბრიდან 15 თებერვლამდე.

შენიშვნა: მაღალმთიან რაიონებში (ახალქალაქი, ახალციხე, წალკა, ბოგდანოვკა) წყალში მცურავ ფრინველებზე ნადირობა დაშვება 19 აგვისტოდან 15 თებერვლამდე.

მგელზე — 1 ოქტომბრიდან 31 იანვრამდე.

კვერნაზე — 1 დეკემბრიდან 28 თებერვლამდე.

ყველა სახის ციყვზე, — 1 ნოემბრიდან 28 თებერვლამდე.

ყველა მავნე მტაცებელ ნადირზე (მგელი, ფოცხვერი, გარეული კატა, მელა, ენოტისებრი ძაღლი, პრელტყავა) და მავნე მტაცებელ ფრინველზე (ყორა, მიმინო, ჭაობის ძელქორი) — 19 აგვისტოდან 28 თებერვლამდე.

1 მარტიდან მგელზე, ფოცხვერზე, ტურაზე, გარეულ კატაზე, ენოტისებრ ძაღლზე, პრელტყავაზე და მელაზე ნადირობა ლიცენზიის გარეშე — 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე.

კაკაბზე და კურდღელზე — 1 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე.

მამალ ხოხობზე — ნადირობა დაიშვება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში სასელექციო გამოზრდის მიზნით — 1 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე.

შენიშვნა: ერთდროული ნებართვები (ლიცენზიები) გაიცემა მონადირეთა და მეთვალყურეთა საზოგადოებების სამუალებით, მათი გამოყენება შეიძლება დადგენილი წესის მიხედვით, რომელსაც ღიცენზიის მიმღები მონადირეები გაეცნობიან მონადირეთა და მეთვალყურეთა საზოგადოებებში.

ნადირობა აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში: ირემზე, ნაიმარზე, არჩვებზე, ვეფხვზე (ქურციკზე), ირემზე, ფუტკრის, წყაზე, დედოფალაზე, გნოლზე, შურთხზე, როკვის, დურაჯზე, სხრსარკვზე, სავეთზე, თეთრ ყანჩაზე, წითელყელა ბატზე, გედზე, ყარყატზე (ლაკლაკის), კოდალაზე, გუგულზე, შაშვზე და ყველა მგალობელ ფრინველზე.

აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალებში და ორი კილომეტრის ზონაში მათ გარშემო. მდინარე იორის ორივე ნაპირას 3 კილომეტრის ზონის ფარგლებში, საგარეჯოს რაიონის კახეთის ძველ გზაზე მდებარე ივრის ხიდიდან აზერბაიჯანის სსრ საზღვრამდე, პალიასტომის ტბაზე და მისი ნაპირებიდან ერთი კილომეტრიანი რადიუსით.

აკრძალულია ნადირობა საქართველოს სსრ შემდეგი ქალაქებისა და კურორტების ირგვლივ: ქ. თბილისის საზღვრებში და საზღვრებიდან 15 კმ ზოლის ფარგლებში; ქ. სოხუმი — 5 კმ. რადიუსით ქალაქის ფარგლებს გარეთ; ქალაქების: ბათუმი, ცხინვალი, ჭუთაისი — 3 კმ რადიუსით ქალაქის ფარგლებს გარეთ; ჰაითურა, რუსთავი, ტყიბული — 2 კმ რადიუსით ქალაქის ფარგლებს გარეთ; კურორტების: ბორჯომის და ბაკურიანის სატყეო მეურნეობების მთელ ტერიტორიაზე; გაგრის, წყალტუბოს, ქობულეთის საქალაქო ფარგლებიდან 2 კმ რადიუსით, ხოლო ამ საზღვრებიდან 3 კმ რადიუსით აკრძალულია ყოვილგვარი ნადირობა. გარდა გადამფრენ ფრინველებზე.

მწერილ საწაღერო მეურნეობებში ნადირობა დაშვებულია მხოლოდ მეურნეობის მფლობელის ნიბართვით. დანარჩენ ტიგელებში ნადირობა ნებადართულია საწაღირო ბილეთის მქონე ყველა მონადირისათვის. აკრძალულია ყოველგვარი ნადირობის ბეღლიდან ხილით, პროდუქციის გადაზიდვის დროს. ნადირობის შესყიდვასა და გასაღებას აწარმოებენ დამამზადებელი და გამსაღებელი ორგანიზაციები დაწესებულ ფასებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნადირეულისა და ყამონადირეთ მეურნეობის მთავარი სამმართველო.

სსრ კავშირის თასზე

240-ფუთიანი ორთაბრძოლა

მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა 13 აგვისტოს დაამარცხეს მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდი ანგარიშით 6:2 და მეხუთედ მოიპოვეს სსრ კავშირის თასი.

ტორპედოელებს წარმატება ხვდათ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების ზუსტად შესრულების მეოხებით. შაბათს გამართული პირველი ფინალური მატჩი, როგორც ცნობილია, ფრედ დამთავრდა — 0:0. მეორე შეხვედრის როგორც ძირითადი, ისევე დამატებითი დრო ისევ ფრედ დამთავრდა — 1:1. მაშინ „სპარტაკის“ და „ტორპედოს“ კარებში სსრ კავშირის თასის გათამაშების დებულების თანახმად დაინიშნა ხუთ-ხუთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. აქ კი უძლიერესი აღმოჩნდნენ ტორპედოელები. მათ ხუთივე ბურთი გაიტანეს მაშინ, როცა „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთხელ შეუგდეს ბურთი ბანიოვს, რომელიც უეჭველად მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. (საკდესი).

სამი მატჩი „ტაიმ-აუტში“

როგორც ცნობილია, „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე მთელი რიგი კლუბებისათვის მკირე შესვენება გამოცხადდა ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებისა და სსრ კავშირის თასის გათამაშების გამო. მორიგ ტურში გაიმართა მხოლოდ სამი მატჩი.

არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა კიდევ უფრო განამტკიცა მეორე საფეხური საერთო ცხრილში — ალმა-ატაში ანგარიშით 3:1 დაამარცხა „ქაირატი“. არმიელებიდან ბურთები გაატანეს ზისამეტდონოვმა, ბობენკომ და დოლგოვმა, „ქაირატიდან“ — ივონინმა.

ბაქოს „ნეფტჩი“ საკუთარ მოედანზე დამარცხდა ლენინგრადის „ზენიტთან“. ლენინგრადელი ბრიგადის მეკარე ანატოლი ფილატოვი ბურთს ერთხელაც ვერ გაატანებდა, მაგრამ ბაქოელმა ნაპირა ალექსანდრ ბუნიაძემ ბურთი ორჯერ ჩააგდო საკუთარ კარში.

ჩოგბურთი

პირველი ფინალები

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის კორტებზე მთავრდება ევროპის ჩემპიონატი. უკვე გაიმართა ფინალური ჭიდაობა ერთეულ და წყვილთა თანრიგებში.

პროგნოზების მიუხედავად, კონტინენტზე უძლიერესის სახელი პირველად მოიპოვა 18 წლის ალბანელმა მარინე პრიფინამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი მოსკოველი ოლღა მოროზოვა — 1:6, 6:2, 6:2. ბრინჯაოს მედალზე საბჭოთა სპორტსმენს შეხვდა — ბაქოელმა ელენე ბირიუკოვამ სძლია ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელს მარია კოდელიკოვას — 1:6, 6:2, 7:5. წყვილებშიც ფინალი საბჭოთა იყო — მოროზოვა-ზაინეა იანსონმა დაამარცხა კრომინა-ბირიუკოვას დუეტი — 6:1, 6:1.

ვაჟთა ფინალში ძნელი ბრძოლებით გზა გაიკვლია გასული წლის გამარჯვებულმა თბილისელმა მერკურელმა, ნახევარფინალში მას ასპარეზობა მოუხდა ძველ ნაცნობთან უნგრელ ა. სიოკეშთან და გამარჯვა — 3:6, 6:3, 6:2, 1:6, 6:0. ფინალში მისი მეტოქე იქნება მეორე უნგრელი სპორტსმენი ს. ბარანიი.

სპასკი — ჩიშერის მატჩი

კარტია არ შედგა

მოსკოვის ჩემპიონის ბ. სპასკის ავადმყოფობის გამო რ. ფიშერთან მისი მატჩის მეთორმეტე პარტია კვირას არ შემდგარა. რეგლამენტით იგი გამართება დღეს, სამშაბათს, 15 აგვისტოს. თეთრებით თამაშობს პრეტენდენტი.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 8:5 ფიშერის სასარგებლოდ.

ქალათბურთი

პირველად...

ცხაბ-ს ქალათბურთელებმა თერთმეტჯერ გამოსულან გამოკვეთულნი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებში, მაგრამ სსრ კავშირის თასი პირველად მოიგეს, როცა მოსკოვში 13 აგვისტოს დაამარცხეს კიევის „სტროიტელი“ ანგარიშით 98:76 (59:39). ეს მატჩები მესამე მატჩი იყო. მანამდე ამ მეტოქეებმა წაგეს კიევის, თაეიანთ მოედანზე კი საპასუხო შეხვედრაში გაიმარჯვეს „სტროიტელმა“.

ამ მატჩში ცსკა-დან ყველაზე შედეგიანი იყვნენ მოლარდოვი (28 ქულა) და ისტრებოვი (19), „სტროიტელიდან“ — კოვალენკო (20) და პოლიეთლი (13). (საკდესის კორ.).

საქართველოს ტურისტულ ბაგებზე

ერთვნული ბიბლიოთეკა

ლაშქრობაზე აფხაზეთის მთებში. საქინფორმის ფოტოქრონიკა.

სპორტული ამბები

□ **ცურვა.** მოსკოვის ცისფერბილიკებზე დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი თბილისის სტარტების შემდეგ. პირველივე დღე აღინიშნა ევროპის ახალი რეკორდით — მოსკოველმა **ნიკოლოზ პანცინმა** ბრასის სტილით 200 მეტრი გაცურა 2 წუთსა და 24,2 წამში. ეს დრო 0,3 წამით სჯობს დასავლეთგერმანელი სპორტსმენის ვოლტერ კუშის უმაღლეს მიღწევას კონტინენტზე. ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა თავისუფალი ცურვაში მოსკოველმა **ოლორ გრიგორიევამ** — ნახევარფინალურ გაცურვაში 100 მეტრზე უჩვენა 52,8 წამი, ხოლო 200-მეტრიან დისტანციაზე ფინალში — 1.56,1; ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში კი ასტრახანელმა **მიხეილ სუხარევმა** — 2.11,3. ქალთა შორის განახლებულ იქნა მხოლოდ ერთი რეკორდი — ნოვოსიბირსკელმა **ტატიანა ზოლოტნიცკაიამ** 200 მეტრი თავისუფალი სტილით დაფარა 2 წუთსა და 11,3 წამში. 200-მეტრიან დისტანციაზე ჩემპიონები გახდნენ ავროვეე მოსკოველები **ნინო პეტროვა** (კომპლექსური ცურვა) — 2.27,1 და გალინა **ტეპანოვა-პროზუმენშიკოვა** (ბრასი) 2.43,3.

□ **მძლეოსნობა.** მოსკოვში რსფსრ-ის სპორტსმენთა ღია შეჯიბრებაზე ოლიმპიადის წინ შესანიშნავი წარმატება მოიპოვა **კრასნოდარელმა** მასწავლებელმა 29 წლის **ლიუდმილა ბრაგინამ.** მან 8 წუთსა და 53 წამში გაირბინა 3.000 მეტრი და ერთბაშად 16,2 წამით გააუმჯობესა ტალიერ პოლა პინის მსოფლიო რეკორდი. ამავე შეჯიბრებაზე პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში მოსკოველმა **ნადეჟდა ბესფა-მილნაიამ** 200 მეტრი გაირბინა 28 წამზე უფრო სწრაფად. მისი დროა 22,68 წამი. სსრ კავშირის რეკორდსმენმა მინსკელმა **ვიქტორ მინასიანმა** 200 მეტრზე თარჯიმნებზე ტავი — ორჯერ — ნახევარფინალსა და ფინალში გაიმეორა სსრ კავშირის რეკორდი — 22,8 წამი. იაროსლავლელი სპორტსმენი **ვალენტინა ფილატოვა** „ფოხბორის“ ხერხით გადაევლო თვალსაჩინო სიმაღლეზე — 183 სანტიმეტრზე გადებულ თანმასას.

□ **შუხბშრომი.** გაიმართა ბეორე ჯგუფის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ჩვენი რესპუბლიკის გუნდები გასვეთით თამაშები ქვონდათ. ლანჩხუთის „გურია“ დამარცხდა ბრიანსკის „დინამოსთან“ — 0:2, ფოთის „კოლხიდა“ — ტარასპოლის „ზვეზდასთან“ — 0:1, რუსთავის „მეტალურგი“ — ზოომპოსკოვსკის „ხიმიკთან“ — 0:1, გორის „დილა“ — პოდოლსკის „მაშინოსტროიტელთან“ — 1:3. გაიმარჯვა მხოლოდ მახარაძის „მერცხალმა“, რომელიც ორიოლში ეთამაშებოდა „სპარტაკს“, ანგარიშით 2:1.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1972 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ა) **წარმოებისაგან მოწყვეტით:** სოციალური ფსიქოლოგია (1);

ბ) **წარმოებისაგან მოუწყვეტლივ:** ფსიქოფიზიოლოგია (1); სოციალური ფსიქოლოგია (1)

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, ხოლო **წარმოებისაგან მოუწყვეტლივ** 45 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და სათანადო სტაჟი ან სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია ასპირანტურაში შესასვლელად.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი; 2) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი; 3) დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელ ადგილიდან; 4) ავტობიოგრაფია; 5) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან საასპირანტო რეკომენდაცია; 6) გამოქვეყნებული შრომების სია. ის პირები, რომლებსაც არა აქვთ გამოქვეყნებული შრომები, ადგენენ სამეცნიერო მოხსენების (რეფერატს) სპეციალობაში.

ასპირანტურაში შემსვლელნი ბარებენ მისაღებ გამოცდებს სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიასა და უცხო ენაში.

განცხადებების მიღების უკანასკნელი ვადა 1972 წლის 1 სექტემბერი.

მისამართი: თბილისი 8, ჯავახიშვილის ქ. № 1.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1972 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. მექანიზმების, მანქანების და ავტომატური ხაზების თეორია.
2. მანქანების ხელსაწყობისა და მოწყობილობის დინამიკა და სიმტკიცე.
3. თეორიული და მათემატიკური ფიზიკა,
4. ანალიზური ქიმია.
5. ნავთობისა და გაზის საბადოების გეოლოგია და დაზვერვა.
6. გამოყენებითი გეომეტრია და საინჟინრო გრაფიკა,
7. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია,
8. ლითონსაჭრელი ჩარხები,
9. ჭრით დამუშავების თეორია.
10. სამთო ელექტრომექანიკა.
11. საშენებლო, სალაბორატორიო და საგზაო მანქანები და მოწყობილობანი,
12. ავტომობილები და ტრაქტორები,
13. საინჟინრო-ამოსახსნელი ხელსაწყოები და მოწყობილობა,
14. გამოთვლითი ტექნიკა,
15. ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობა,
16. ტექნიკური კიბერნეტიკა,
17. ჰიდროავლიკა და საინჟინრო ჰიდროგეოლოგია,
18. ელექტრონიკის გამოყენება სახალხო მეურნეობაში და სამეცნიერო კვლევაში,
19. შავი ლითონების მეტალურგია,
20. სამსხმელო წარმოება,
21. რკინიგზების დაპროექტება და მშენებლობა,
22. რკინიგზის ტრანსპორტის ხელსაწყობო ნაგებობანი,
23. სამშენებლო კონსტრუქციები,
24. გრუნტების მექანიკა, ლუდები, სპრინკლები და მიწისქვეშა ნაგებობანი,
25. პიდროტექნიკური მშენებლობა და ნაგებობანი,
26. არქიტექტურა.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან პირნი 35 წლის ასაკამდე, ხოლო **წარმოებისაგან მოუწყვეტლად** 45 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არჩეული სპეციალობის პროფილით. უცხოელთათვის ასპირანტურაში მიღება ხდება ზოგადი საფუძვლით.

განცხადებების მიღების ვადა — 1 ნოემბრამდე.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატი

განცხადებები, რეკლამა

მონადირეთა საყურადღებოდ!

ნადირობის ვადები და წესები 1972-1973 წლის საანადირო სეზონისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

ნადირობა ნებადართულია შაბათობით, კვირაობით და ორშაბათობით

მწყერზე, ღალიაზე, ჭოგელზე (დუპელი), ჩიბუხაზე (ბეკასი), კრაზნენზე, ჯუმპოზე (გარშნეპი), მტრედზე, გვრიტზე, ქედანზე, ჭაობის ქათამზე და სხვა წიწკატელებზე, გარდა ტყის ქათმისა — **19 აგვისტოდან 15 ნოემბრამდე.**

შენიშვნა: ა) მწყერზე, ნადირობა დასავლეთ საქართველოში, როგორც გამონაკლისი, დაშვებულია ყოველდღიურად — 19 აგვისტოდან 15 ნოემბრამდე. ბ) დმანისის და წალკის რაიონებში მწყერზე ნადირობა დაიშვება 2 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე.

ტყის ქათამზე — **15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე.**

წყალში მცურავ ფრინველებზე (ბატი, იხვი, მელოტა და სხვა) — **1 დეკემბრიდან 15 თებერვლამდე.**

შენიშვნა: მაღალმთიან რაიონებში (ახალქალაქი, ახალციხე, წალკა, ბოგდანოვკა) წყალში მცურავ ფრინველებზე ნადირობა დაშვება 19 აგვისტოდან 15 თებერვლამდე.

მგელზე — **1 ოქტომბრიდან 31 იანვრამდე.**

კვერნაზე — **1 დეკემბრიდან 28 თებერვლამდე.**

ყველა სახის ციყვზე, — **1 ნოემბრიდან 28 თებერვლამდე.**

ყველა მავნე მტაცებელ ნადირზე (მგელი, ფოცხვერი, გარეული კატა, მელა, ენოტისებრი ძაღლი, პრელტყავა) და მავნე მტაცებელ ფრინველზე (ყორა, მიმინო, ჭაობის ძელქორი) — **19 აგვისტოდან 28 თებერვლამდე.**

1 მარტიდან მგელზე, ფოცხვერზე, ტურაზე, გარეულ კატაზე, ენოტისებრ ძაღლზე, პრელტყავაზე და მელაზე ნადირობა ლიცენზიის გარეშე — **1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე.**

კაკაბზე და კურდღელზე — **1 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე.**

მამალ ხოხობზე — ნადირობა დაიშვება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში სასელექციო გამოზრდის მიზნით — **1 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე.**

შენიშვნა: ერთდროული ნებართვები (ლიცენზიები) გაიცემა მონადირეთა და მეთვალყურეთა საზოგადოებების საშუალებით, მათი გამოყენება შეიძლება დადგენილი წესის მიხედვით, რომელსაც ღიცენზიის მიმღები მონადირეები გაეცნობიან მონადირეთა და მეთვალყურეთა საზოგადოებებში.

ნადირობა აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში: ირემზე, ნაიმარზე, არჩვებზე, ვეფხვზე (ქურციკზე), ირემზე, ფუტკრის, წყაზე, დედოფალაზე, გნოლზე, შურთხზე, როკვის, დურაჯზე, სხრსარკვზე, სავეთზე, თეთრ ყანჩაზე, წითელყელა ბატზე, გედზე, ყარყატზე (ლაკლაკის), კოდალაზე, გუგულზე, შაშვზე და ყველა მგალობელ ფრინველზე.

აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალებში და ორი კილომეტრის ზონაში მათ გარშემო. მდინარე იორის ორივე ნაპირას 3 კილომეტრის ზონის ფარგლებში, საგარეჯოს რაიონის კახეთის ძველ გზაზე მდებარე ივრის ხიდიდან აზერბაიჯანის სსრ საზღვრამდე, პალიასტომის ტბაზე და მისი ნაპირებიდან ერთი კილომეტრიანი რადიუსით.

აკრძალულია ნადირობა საქართველოს სსრ შემდეგი ქალაქებისა და კურორტების ირგვლივ: ქ. თბილისის საზღვრებში და საზღვრებიდან 15 კმ ზოლის ფარგლებში; ქ. სოხუმი — 5 კმ. რადიუსით ქალაქის ფარგლებს გარეთ; ქალაქების: ბათუმი, ცხინვალი, ჭუთაისი — 3 კმ რადიუსით ქალაქის ფარგლებს გარეთ; ჰაითურა, რუსთავი, ტყიბული — 2 კმ რადიუსით ქალაქის ფარგლებს გარეთ; კურორტების: ბორჯომის და ბაკურიანის სატყეო მეურნეობების მთელ ტერიტორიაზე; გაგრის, წყალტუბოს, ქობულეთის საქალაქო ფარგლებიდან 2 კმ რადიუსით, ხოლო ამ საზღვრებიდან 3 კმ რადიუსით აკრძალულია ყოვილგვარი ნადირობა. გარდა გადამფრენ ფრინველებზე.

მწერილ საწაღერო მეურნეობებში ნადირობა დაშვებულია მხოლოდ მეურნეობის მფლობელის ნიბართვით. დანარჩენ ტიგელებში ნადირობა ნებადართულია საწაღირო ბილეთის მქონე ყველა მონადირისათვის. აკრძალულია ყოველგვარი ნადირობის ბეღლიდან ხილით, პროდუქციის გადაზიდვის დროს. ნადირობის შესყიდვასა და გასაღებას აწარმოებენ დამამზადებელი და გამსაღებელი ორგანიზაციები დაწესებულ ფასებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნადირეულისა და ყამონადირეთ მეურნეობის მთავარი სამმართველო.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

დადგა ზაფხულის ცხელი, მშრალი ამინდები — ტყეებში, პარკებში, სკვერებში და განსაკუთრებით მთის ფერდობებზე გაჩნდა ბალახი და ბუჩქნარი. ამიტომ მცირედი გაუფრთხილებლობაც კი ქმნის ხანძრის გაჩენის დიდ საშიშროებას.

იყავით ფხიზლად! ნუ დაკარგავთ ანთებულ ასანთს და პაპიროსის ნამწვავს, ნუ გააჩაღებთ კოცონს ტყეებში. დიდიცავით მწვანე ნარგაეების ხანძრისაგან!

საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველო და ნეგაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

15 აგვისტო

პირველი პროგრამით

15.05 — „ღიმილის საათი“ (განმეორებით), 16.20 — მხატვრული ფილმი „ძველი ციხე-სიმაგრის პრრდილები“ — 1-ლი, მე-2, მე-3 სერია), 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — „ბავშვებს ცნობელთა შესახებ“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 18.30 — კინონარკვევი, 19.00 — ეთერშია ახალგაზრდობა, 19.20 — კონცერტი, 20.05 — „სპორტული კვირეული“, 20.45 — „დამოუკიდებლობის გზით“ (ინდოეთის დამოუკიდებლობის 25 წლისთავის გამო), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „პალიტრა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ჯაქცევა“ (I სერია).

16 აგვისტო

პირველი პროგრამით

15.05 — დოკუმენტური ფილმი „უპირველეს ყოვლისა თეატრი“, 16.00 — მხატვრული ფილმი „ძველი ციხე-სიმაგრის პრრდილები“ (IV, V სერია), 17.30 — კინონარკვევი „ალმაურენელი კუნძულები“, 18.05 ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები,